

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„გ ა მ ტ კ ი ც ე ზ“

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ზურაბ ბუცხრიკიძე

ჭ. ჭყიშვი

„17 04“ 2015 წელი

ეგზ. № 2

თიღვის მუნიციპალიტეტის 2013-2014 წლების ფინანსური ანგარიშგების
ფინანსური აუდიტის ანგარიში

აშ 26/00

2015 წელი

სარჩევი

აუდიტის მიზანი.....	3
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	4
ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ.....	5
დასკვნის გაცემაზე უარის საფუძვლები.....	7
ფინანსური ანგარიშგების მომზადება. სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა.....	7
აუდიტის დასკვნა-უარი დასკვნის გაცემაზე.....	8
2014 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები	8
მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში.....	8
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი.....	9
შრომის ანაზღაურება.....	10
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	10
სხვა ხარჯები	10
საქონელი და მომსახურება	11
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება.....	11
აქტივების უსასყიდლოდ გადმოცემა.....	12
სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა	12
აუდიტის დასკვნა - პირობითი დასკვნა.....	13
თიღვის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ფინანსური ანგარიშგება.....	14
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	28
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები.....	28

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია აუდიტის ობიექტის 2013-2014 წლების პერიოდის მდგომარეობით შედგენილი ბუღალტრული ანგარიშგების სისწორეზე მოსაზრების გამოთქმა.

აუდიტის ობიექტის ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები, რომლებზეც გაიცემა აუდიტორული დასკვნა, მოიცავს აუდიტის ობიექტის ბალანსს 2013-2014 წლების მდგომარეობით და ბალანსის დანართ ფორმებს, რომლებიც დადგენილია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანებით.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტი ვალდებულია უზრუნველყოს ბუღალტრული ანგარიშგების მომზადება და სამართლიანად წარდგენა შემდეგი ნორმატიული აქტების შესაბამისად:

- „საქართველოში ბუღალტრული არღიხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;
- „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური

ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურე ვალდებულია:

ა) აუდიტი წარმართოს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას;

ბ) დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია და სხვა ნორმატიული აქტები;

გ) აუდიტის ობიექტს გააცნოს აუდიტის სახეობა, მიზანი, პერიოდი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი;

დ) უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო, სამსახურებრივი და კომერციული საიდუმლოებების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) აუდიტის შედეგები არ გახადოს საჯარო აუდიტის ანგარიშის შედგენამდე;

ვ) აუდიტის პროცესში შესაძლო დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, დოკუმენტების ორიგინალები დაურთოს აუდიტის მასალებს, ხოლო მათი დამოწმებული ასლები დატოვოს აუდიტის ობიექტში;

ზ) დაიცვას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი;

თ) აუდიტის ჩატარებისას არ ჩაერიოს აუდიტის ობიექტის მიმდინარე საქმიანობაში.

აუდიტორული პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს:

- ბუღალტრული ანგარიშგების ფორმებში არსებითი უზუსტობების რისკებისა და კონტროლის მექანიზმების შეფასებას;
- ბუღალტრული აღრიცხვის სისტემისა და აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული აღრიცხვის წესების შეფასებას;
- ანგარიშგების წარდგენის საერთო შეფასებას;
- სხვა დამატებით პროცედურებს, რომლებიც განისაზღვრება აუდიტის მსვლელობისას.


ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

თიღვის მუნიციპალიტეტს უფლება აქვს, იმ ტერიტორიაზე, სადაც კომპაქტურად არიან განსახლებული იძულებით გადაადგილებული პირები, განახორციელოს საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები. აღნიშნული გულისხმობს იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარებას და მათთვის სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებამდე.

მუნიციპალიტეტი საქმიანობას ახორციელებს საკუთარი ბიუჯეტის საშუალებით. მუნიციპალიტეტის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს საკუთარი შემოსულობები, რომელიც, თავის მხრივ, ძირითადად მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემულ გათანაბრებით ტრანსფერს. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება მიზნობრივი ტრანსფერით, რომელსაც იღებს დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

2014 წელს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, თიღვის მუნიციპალიტეტის შემოსულობებმა შეადგინა 1 310.0 ათასი ლარი. შემოსულობებიდან 1 295.9 ათასი ლარი (98,9%) არის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი. მათ შორის, გათანაბრებითი ტრანსფერის სახით მიღებულია 1 285.9 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი შეადგენს 10.0 ათას ლარს, ხოლო სპეციალური ტრანსფერი მუნიციპალიტეტს 2014 წელს არ მიუღია.

დიაგრამა 1: სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი - 2014 წელი



2014 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა 1 351.0 ათასი ლარი. გადასახდელების 99,7%-ს შეადგენს ხარჯები, ხოლო 0,3%-ს - არაფინანსური აქტივების ზრდა.

აუდიტის ჯგუფი არ გამოთქვამს მოსაზრებას 2014 წელს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი საწყისი ნაშთების სისწორეზე. ჩასატარებელი აუდიტორული პროცედურების განსაზღვრის დროს ბალანსში წარმოდგენილი საწყისი ნაშთები მიღებულია, როგორც სარწმუნო. ჩატარებული აუდიტორული პროცედურებით გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს არსებითი უზუსტობების გამოვლენას ან/და თავიდან აცილებას. აუდიტის შედეგად გამოვლინდა აგრეთვე უზუსტობები და რიგი გარემოებები, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე.

მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლების შესაქმნელად.

დასკვნის გაცემაზე უარის საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება. სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა

კრიტერიუმი: საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების¹ შესაბამისად, თიღვის მუნიციპალიტეტი, როგორც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაცია, ვალდებულია დადგენილ ვადებში მოამზადოს პერიოდული და წლიური ფინანსური ანგარიშგებები, სადაც უნდა აისახოს ინფორმაცია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

ორგანიზაციაში ეკონომიკური მოვლენებისა და ნაკადების აღრიცხვა ხორციელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციით. ამავე ინსტრუქციით განსაზღვრულია ანგარიშების გეგმა, რომელიც ორგანიზაციამ უნდა გამოიყენოს სხვადასხვა ეკონომიკური მოვლენების აღრიცხვისთვის. პირველად დოკუმენტებში მოცემული ინფორმაცია გროვდება და სისტემატიზირდება სააღრიცხვო რეგისტრებში, რომლებიც შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის საერთო მეთოდოლოგიური პრინციპების დაცვით და ბუღალტრული ანგარიშგების შედგენის საფუძველია.

არსებული მდგომარეობა: 2014 წლის 11 ნოემბერს შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის მიერ, თიღვის მუნიციპალიტეტიდან ამოღებულია სრული ფინანსური დოკუმენტაცია 2008 წლიდან 2014 წლის 29 ოქტომბრის მდგომარეობით.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, 2013 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტი არ ადგენდა პერიოდულ ფინანსურ ანგარიშგებას², ხოლო

¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“.

² დარღვეულია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების 3¹ პუნქტის მოთხოვნები.

ობიექტის წლიური ბალანსისა და ბალანსის დანართი ფორმების შევსება 2014 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით ვერ მოხერხდა, რადგან ამოღებული იყო საფინანსო დოკუმენტაცია.

გავლენა

- საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტს არ შეუდგენია პერიოდული და წლიური ფინანსური ანგარიშგება, ხოლო საბუღალტრო დოკუმენტაციის ამოღების გამო შეუძლებელია სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის დოკუმენტაციის წარმოების შეფასება.
- მასშტაბის შეზღუდვის მიზეზით, არ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები ზოგადად საბუღალტრო გატარებების კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ.

აუდიტის დასკვნა-უარი დასკვნის გაცემაზე

ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების არარსებობისა და სამართალდამცავი ორგანოების მიერ თიღვის მუნიციპალიტეტის საფინანსო დოკუმენტაციის ამოღების გამო, მასშტაბის შეზღუდვის გავლენა აუდიტზე იმდენად არსებითი და ყოვლისმომცველია, რომ აუდიტის ჯგუფმა აუდიტის ობიექტზე ვერ მოიპოვა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები, რის გამოც გამოთქვამს მოსაზრებას - „უარი დასკვნის გაცემაზე“.

2014 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები

მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში

გარემოება. თიღვის მუნიციპალიტეტის მიერ საბანკო ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების საწყისი და საბოლოო ნაშთები 2014 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორად არის წარმოდგენილი. საბანკო ამონაწერის მიხედვით, 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტს ნაშთის სახით ერიცხებოდა

218.6 ათასი ლარი, ფინანსურ ანგარიშგებაში კი წარმოდგენილია 219.8 ათასი ლარით; 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კი - 198.1 ათასი ლარის ნაცვლად ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია 199.2 ათასი ლარით.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“ მუხლის საწისი და საბოლოო ნაშთები ფინანსურ ანგარიშგებაში გაზრდილი თანხით არის წარმოდგენილი.

მანქანა-დანადგარები და ინვენტარი

გარემოება. მუნიციპალიტეტმა დევნილთა დასახლებაში წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით შეიძინა წყლის ტუმბოები, ღირებულებით - 15.4 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია „სხვადასხვა ხარჯების“ მუხლში. სასურველია, მუნიციპალიტეტმა მოახდინოს შეძენილი ქონების არაფინანსურ აქტივად აღიარება და შემდეგში მათი გადაცემა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „სხვადასხვა ხარჯების“ მუხლი გაზრდილია 15.4 ათასი ლარით.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1 და ბალანსი - დანართი ფორმა №2-1, №5) „მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ მუხლი შემცირებულია 15.4 ათასი ლარით.

შრომის ანაზღაურება

გარემოება. თიღვის მუნიციპალიტეტმა 2014 წელს ხელფასის ფონდიდან სადეკრეტო შვებულებისათვის გასცა 2.4 ათასი ლარი. აღნიშნული მიეკუთვნება „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლს.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - დანართი ფორმა №2) „შრომის ანაზღაურების“ მუხლი გაზრდილია 2.4 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია (ბალანსი - დანართი ფორმა №2, №3) „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლი.

ძირითადი კაპიტალის მოხმარება

გარემოება. მუნიციპალიტეტის მიერ ძირითად საშუალებებზე წლის განმავლობაში განმავლობაში დარიცხულია ცვეთა 10.7 ათასი ლარი. აღნიშნული მონაცემი ფინანსური ანგარიშგების დანართ ფორმა №2-ში წარმოდგენილი არ არის.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - დანართი ფორმა №2) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი 10.7 ათასი ლარით შემცირებულად არის წარმოდგენილი.

სხვა ხარჯები

გარემოება. ბუღალტრული მონაცემების მიხედვით, მუნიციპალიტეტმა „სხვა ხარჯების“ მუხლით გასწია 120.4 ათასი ლარის ხარჯი. აღნიშნული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია არასწორად, 111.1 ათასი ლარით.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - დანართი ფორმა №2) „სხვა ხარჯების“ მუხლი წარმოდგენილია 9.3 ათასი ლარით ნაკლები ოდენობით.

საქონელი და მომსახურება

გარემოება. შტატგარეშე მოსამსახურეებზე 2014 წლის განმავლობაში გაცემულია 46.8 ათასი ლარი. აღნიშნული ფინანსურ ანგარიშგებაში დანართი ფორმა №3-ში წარმოდგენილია „მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლში, ნაცვლად „საქონლისა და მომსახურების“ მუხლისა.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - დანართი ფორმა №3) „მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლი გაზრდილია 46.8 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია „საქონლისა და მომსახურების“ მუხლი.

ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება

გარემოება. მუნიციპალიტეტის მიერ დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად მიღებული შემოსავალი - 10.0 ათასი ლარი, ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია 1.0 ათასი ლარით.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - დანართი ფორმა №3) „შემოსავლების“ მუხლი 9.0 ათასი ლარით შემცირებულად არის წარმოდგენილი.
- აღნიშნული გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

აქტივების უსასყიდლოდ გადმოცემა

გარემოება. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მუნიციპალიტეტს უსასყიდლოდ გადასცა კომპიუტერული ტექნიკა³, საერთო თანხით 2.0 ათასი ლარი. აღნიშნული ბალანსის დანართ ფორმა №3-ში წარმოდგენილია მუხლში „გრანტები სასაქონლო ფორმით“, ნაცვლად მუხლისა - „აქტივების უსასყიდლოდ მიღება“.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - დანართი ფორმა №3) „აქტივების უსასყიდლოდ მიღების“ მუხლი შემცირებულია 2.0 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით გაზრდილია მუხლი - „გრანტები სასაქონლო ფორმით“.
- აღნიშნული გავლენას ახდენს (ბალანსი - დანართი ფორმა №3) „შემოსავლების“ მუხლის სისწორეზე.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა

❖ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ოქტომბრის №1908 განკარგულებით, თიღვის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადაეცა ქალაქ გორში, გრიგოლ ფერაძის ქუჩის №5-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობიდან 815.42 კვ.მ ფართობი. 2013 წლის 21 აგვისტოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს №26 განკარგულებით, მუნიციპალიტეტმა მიატოვა აღნიშნული ქონება და ის კვლავ დაუბრუნდა სახელმწიფოს. ქალაქ თბილისის მთავრობის 2013 წლის 31 ივლისის დადგენილების საფუძველზე, სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ ბრძანებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით 2014 წლის ბოლომდე თიღვის მუნიციპალიტეტს გადაეცა ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირის №89/24-ში მდებარე შენობიდან 226.85 კვ.მ ფართობი. სარგებლობის ვადის გასვლის შემდეგ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის №05.22.122 განკარგულებით, მათ 3 წლის ვადით, კვლავ გადაეცათ მხოლოდ 153.4 კვ.მ. ფართობი.

³ მიღება-ჩაბარების აქტი (11.12.2014).

აუდიტის დასკვნა - პირობითი დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრებების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, თიღის მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგება 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია ჩამოთვლილი დოკუმენტების საფუძველზე:

- ✓ „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;
- ✓ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია;
- ✓ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

თიღვის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ფინანსური ანგარიშგება

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ფორმა №1

ორგანიზაციის

ბალანსი

ორგანიზაციის დასახელება

თიღვის მუნიციპალიტეტი

ჩააბარა თიღვის მუნიციპალიტეტის გამგებელმა სპარტაკ პეტრიაშვილმა

ხელის მოწერა: 

პერიოდულობა: წლიური

ზომის ერთეული:

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

კოდი	აქტივები	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	ნაშთი წლის (ცვარტლის) ბოლოს
1	2	3	4	5
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	ნაღდი ფული საღირსში ეროვნულ ვალუტაში	1110		
020	ნაღდი ფული საღირსში უცხოურ ვალუტაში	1120		
030	მომდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1210	219759.07	199221.29
040	მომდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1220		
050	საფუძვლითი ანგარიში ბანკში	1230		
060	სხვა ანგარიშები ბანკში	1240		
070	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკაზო ხარჯებისათვის	1250		
080	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260		
090	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270		
100	ხაზინის საგადასტო ანგარიში	1280		
110	სხვა ანგარიშები ხაზინაში	1290		
120	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310		
130	მოკლევადიანი სესხები	1320		
140	აქციები და სხვა კაპიტალი	1330		
150	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340		
160	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351		

170	არასამიუჯუტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352		
180	დემონსტრაციებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353		
190	მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	1354		
200	მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ეკვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მოწოდებით	1355		
210	გადახდილი დღგ	1356		
220	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357		
230	სხვა საგადასახადო აქტივი	1358		
240	მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების დანაკლისებით	1359		
250	სხვა დამარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360		
260	მოთხოვნები ბარტერით	1410		
270	მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420		
280	მოთხოვნები წინასწარი გადახდებით	1430		
290	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440		
300	ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები	1450		
310	მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	1460		
320	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470		
330	სხვა დამარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480		
340	გრძელვადიანი სესხები	1510		
350	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1520		
360	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1530		
II. არაფინანსური აქტივები				
370	სტრატეგიული მარაგები	1610		
380	სხვა მატერიალური მარაგები	1620		
390	შენიშნა-წაგებობები	2110		
400	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2120	37287.77	32383.45
410	სხვა ძირითადი აქტივები	2130	1051.60	1039.50
420	დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	2140		
430	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200		
440	ფასეულობები	2300		
450	არაწარმოებული აქტივები	2400		
შაღავსი			258098.44	232644.24
კოდი	ვალდებულებები და კაპიტალი	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ხოლოს
1	2	3	4	5
I. ვალდებულებები				
460	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100		
470	მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210		
480	აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220		
490	ვალდებულებები ბარტერით	3230		
500	გადასახდელი მოგების გადასახადი	3241		
510	გადასახდელი დღგ	3242		
520	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3243		

530	სხვა გადასახდელები	3244		
540	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შტრულებით	3245		
550	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	3246		
560	შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251		
570	შტატგარეშე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3252		
580	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3253		
590	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3254		
600	დამქირებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3255		
610	დამქირებლის მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3256		
620	ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხებით	3257		
630	გადასახდელი სტიპენდიები	3258		
640	სოციალური დაზღვევის ანაზღაურებები	3259		
650	ვალდებულებები დემონსტრაციის მიმართ	3260		
660	სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3270		
670	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3280		
680	გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	3300		
II. კაპიტალი				
690	წმინდა ღირებულება	5100	258098.44	232644.24
700	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	5210		
710	გაუნაწილებელი მოგება	5220		
720	დაუფარავი ზარალი*	5230		
	ბალანსი			
III. საცნობარო მუხლები				
730	საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები და მათთან დაკავშირებული დამახარჯებები	01		
740	პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	02		
750	გადახდისუენარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება	03		
760	ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	04		
770	პირობითი მოთხოვნები	05		
780	პირობითი ვალდებულებები	06		
790	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	07		
800	ამორტიზებული ძირითადი აქტივები	08		
810	ვადაგადაცილებელი დავალიანებები	09		
820	ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	10		

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:

ბ.ა

* აღნიშნული სტრიქონის მონაცემები აკლდება ბალანსის ვალდებულებისა და კაპიტალის ჯამს

ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების კონსოლიდირებული კლასიფიკაციის მიხედვით

ორგანიზაციის დასახელება

საინჟინრო გეოდეზიური სამსახური

კოდი

240892986

პერიოდის დასაწყისი წელიწადი

2001/4

31.09.2002

თვე

წლის ბოლო: დარი

სტრუქტურის კოდი	ხარჯების ჩამოთვლილი	კოდი	ბოლოში დასტურებული წლიური გეგმა	საანგარიშო პერიოდის დასტურებული გეგმა	გადახდილი	მოთხოვნა	გადახდა (საქონელი ხარჯი)	გადახდა (საქონელი ხარჯი)	გადახდა (საქონელი ხარჯი)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
010	1. ხარჯები	2	1539400.00					1347300.00	
020	1.1 შრომის ანაზღაურება	21	743900.00					735300.00	
030	1.1.1 ხელფასები	211	743900.00					735300.00	
040	1.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით	2111						613700.00	
050	1.1.1.1.1 თანამდებობრივი ხარჯი	21111	617900.00						
060	1.1.1.1.2 წოდებრივი ხარჯი	21112							
070	1.1.1.1.3 პენსია	21113	125900.00					121600.00	
080	1.1.1.1.4 დანამატი	21114							
090	1.1.1.1.5 პენსიონი	21115							
100	1.1.1.1.6 კომპენსაცია	21116							
110	1.1.1.2 ხელფასები სასაქონლო ფორმით	2112							
120	1.1.2 სოციალური შენატანები	212							
130	1.1.2.1 ფაქტობრივად განხორციელებული სოციალური შენატანები	2121							
140	1.1.2.2 პირობითად განხორციელებული სოციალური შენატანები	2122							
150	1.2 საკონსტრუქციო და მომსახურება	22	158900.00					132900.00	
160	1.2.1 შეკეთებები მომსახურების ანაზღაურება	221	49200.00					46800.00	
170	1.2.2 მოვლის ხარჯები	222	1400.00					700	
180	1.2.3 საკონსტრუქციო ხარჯები	223	21100.00					17600.00	
190	1.2.4 წარმოების დანახარჯები ხარჯები	224	1200.00					1100.00	
200	1.2.5 კვების ხარჯები	225							
210	1.2.6 სასაქონლო ხარჯები	226							
220	1.2.7 რეალიზაციის ხარჯები და უზენაესი შედეგის და პირადი დანახარჯები	227							
230	1.2.8 ტრანსპორტის, ტელეკომუნიკაციების, და სხვა-საქონლო ხარჯები	228	54000.00					44100.00	
240	1.2.9 სასაქონლო ტელეკომუნიკაციების ხარჯები	229							
250	1.2.10 სხვა დანახარჯი საკონსტრუქციო და მომსახურება	2210	32000.00					22700.00	

270	1.4 პროცენტები	24							
280	1.4.1 საკონსტრუქციო და მომსახურების	241							
290	1.4.1.1 საკონსტრუქციო და მომსახურების	2411							
300	1.4.1.2 საკონსტრუქციო და მომსახურების	2412							
310	1.4.1.3 საკონსტრუქციო და მომსახურების	2413							
320	1.4.1.4 სხვა საკონსტრუქციო და მომსახურების	2414							
330	1.4.2 საკონსტრუქციო და მომსახურების	242							
340	1.4.3 საკონსტრუქციო და მომსახურების	243							
350	1.5 სუბსიდიები	25	215200.00					215200.00	
360	1.6 გრანტები	26							
370	1.6.1 გრანტები უცხო სახელმწიფოების მიერ	261							
380	1.6.1.1 გრანტები	2611							
390	1.6.1.2 გრანტები	2612							
400	1.6.2 გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ	262							
410	1.6.2.1 გრანტები	2621							
420	1.6.2.2 გრანტები	2622							
430	1.6.3 გრანტები სხვა დონის სახელმწიფოების მიერ	263							
440	1.6.3.1 გრანტები	2631							
450	1.6.3.2 გრანტები	2632							
460	1.7 სოციალური უზრუნველყოფა	27	166200.00					152800.00	
470	1.7.1 სოციალური უზრუნველყოფა	271							
480	1.7.1.1 ხელფასები	2711							
490	1.7.1.2 სასაქონლო ფორმით	2712							
500	1.7.2 სოციალური უზრუნველყოფა	272							
510	1.7.2.1 ხელფასები	2721	134500.00					121700.00	
520	1.7.2.2 სასაქონლო ფორმით	2722	31700.00					31100.00	
530	1.7.3 დანახარჯების მიერ გრანტული სოციალური უზრუნველყოფა	273							
540	1.7.3.1 ხელფასები	2731							
550	1.7.3.2 სასაქონლო ფორმით	2732							

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება კოდი

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური ---20 წლის -----თვის ზომის ერთეული: ლარი

სტრიქონის კოდი	არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	არაფინანსური აქტივების ოპერაციების კოდები	დამტკიც ბული გვერდით	დაზუსტე ბული გვერდით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1	2	3	4	5	6	7	8
010	1. არაფინანსური აქტივები	31					
020	1.1 ძირითადი აქტივები	311					
030	1.1.1 შენობა-ნაგებობები	3111					
040	1.1.1.1 საცხოვრებელი შენობები	31111					
050	1.1.1.2 არასაცხოვრებელი შენობები	31112					
060	1.1.1.3 საგზაო მაგისტრალები	31113					
070	1.1.1.4 ქუჩები	31114					
080	1.1.1.5 გზები	31115					
090	1.1.1.6 ხიდები	31116					
100	1.1.1.7 გვირაბები	31117					
110	1.1.1.8 საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები	31118					
120	1.1.1.9 ელექტროგადამცემი ხაზები	31119					
130	1.1.1.10 მონსადენები	311110					
140	1.1.1.11 სხვა შენობა-ნაგებობები	311111					
150	1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	3112					
160	1.1.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	31121					
170	1.1.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	31122					
180	1.1.3 სხვა ძირითადი აქტივები	3113					
190	1.1.3.1 კულტივირებული აქტივები	31131					
200	1.1.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	31132					
210	1.1.3.2.1 ლიცენზიები	311321					
220	1.1.3.2.2 სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები	311322					
230	1.2 მატერიალური მარაგები	312					
240	1.2.1 სტრატეგიული მარაგები	3121					
250	1.2.2 სხვა მატერიალური მარაგები	3122					
260	1.2.2.1 წედლეული და მასალები	31221					
270	1.2.2.2 დაუმზადებელი წარმოება	31222					
280	1.2.2.3 მზა პროდუქცია	31223					
290	1.2.2.4 შემდგომი რეალიზაციისათვის შემწილი საქონელი	31224					
300	1.3 ფასიულობები	313					
310	1.4 არაწარმოებული აქტივები	314					
320	1.4.1 მიწა	3141					
330	1.4.2 წიაღისეული	3142					

340	1.4.3 სხვა ბუნებრივი აქტივები	3143					
350	1.4.3.1 სადღიოსიხშირული საექტრიო სარგებლობის ლიცენზია	31431					
360	1.4.3.2 სხვა დანარჩენი ბუნებრივი აქტივები	31432					
370	1.4.4 არაწარმოებული არამატერიალური აქტივები	3144					

ორგანიზაციის ხელმძღვანელი: _____

მთავარი ბუღალტერი: _____
ბ.ა.

ბალანსის დანართი ფორმა №3

ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება: _____
პერიოდულობა: წლიური, კვარტალური 20 წლის -----თვის

კოდი: _____
ზომის ერთეული: ლარი

ანგარიშის №	დებეტი	თანხა	ანგარიშის №	კრედიტი	თანხა
	წამთი წლის დასაწყისისათვის			წამთი წლის დასაწყისისათვის	
7100	მომუშავეთა ანაზღაურება	782163.33	4100	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	
7200	საქონელი და მომსახურება	75567.47	4200	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება პენსიებისა და დახმარებების გასაცემად	
7300	ძირითადი კაპიტალის მოხმარება		6000	შემოსავლები	1326900.88
7310	მ.შ. ფიზიკური ცვლილება	10725.42	6300	მ.შ. გრანტები	1311693.20
7400	პროცენტი		6300/01	გათანაბრებითი ტრანსფერი	1285900.00
7500	სუბსიდიები	215200.00	6300/02	მოზნობრივი ტრანსფერი	1000.00
7600	გრანტები		6300/03	წინა წელს გამოუყენებელი თანხის დაბრუნება	13773.20
7700	სოციალური უზრუნველყოფა	152773.10	6300/04	გრანტები სასაქონლო ფორმით	2020.00
7800	სხვა ხარჯები	120895.76	6411	ბანკის პროცენტი	15207.68
	აქტივების, ვალდებულებების უსასყიდლოდ გასვლა			აქტივების ვალდებულებების უსასყიდლოდ მიღება	
1300-1400	ფინანსური აქტივები		1300-1400	ფინანსური აქტივები	
3000	ფინანსური ვალდებულებები	1352355.08	3000	ფინანსური ვალდებულებები	1352355.08
1600 - 2000	არაფინანსური აქტივები		1600 - 2000	არაფინანსური აქტივები	
8000	სხვა ეკონომიკური წაკადები		8000	სხვა ეკონომიკური წაკადები	
3245	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით *				
3246	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები *				
	სადებეტო ბრუნვა	2704710.16		საკრედიტო ბრუნვა	2679255.96

სულ ჯამი**	სულ ჯამი***
ნაშთი პერიოდის ბოლოს	ნაშთი პერიოდის ბოლოს

* აღნიშნულ სტრიქონზე აღიზიგება საბუღალტრო ორგანიზაციების მიერ მიღებული შემოსავლებიდან და სხვა შემოსავლებიდან ბიუჯეტის კუთვნილი თანხები

** სადებეტო ნაშთის წლის დასაწყისისათვის ემატება სადებეტო ბრუნვა

*** საკრედიტო ნაშთის წლის დასაწყისისათვის ემატება საკრედიტო ბრუნვა

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:

შ.ა.

ბალანსის დანართი ფორმა №4

ანგარიში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ

ორგანიზაციის დასახელება

პერიოდულობა: კვარტალური, წლიური 20__ წლის _____ თვის ზომის ერთეული:ლარი

სტრიქონის კოდი	შემოსავლები	სულ		
		გვერდით	საკისო	დაქტობრივი
1	2	3	4	5
010	ნაშთი წლის დასაწყისისათვის			
020	საანგარიშო პერიოდის შემოსავლები			
030	გრანტები			
040	სხვა შემოსავლები			
050	ა) შემოსავლები საკუთრებიდან			
060	ბ) საკონლოსა და მომსახურების რეალიზაცია			
070	გ) სამსახური, გარიგებები, სარგებები			
080	დ) ჩებაყოფლობითი ტრანზაქციები, გრანტების გარდა			
090	ე) შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები			
100	კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი			
110	არაფინანსური აქტივების კლება			
120	ფინანსური აქტივების კლება			
130	ვალდებულებების ზრდა			
140	სულ			
150	1. ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	კოდი		
160	1.1 შრომის ანაზღაურება	21		
170	1.2 საკონტო და მომსახურება	22		
180	1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	23		
190	1.4 პროცენტი	24		
200	1.5 სესხადივები	25		
210	1.6 გრანტები	26		
220	1.7 ხიდილოური უზრუნველყოფა	27		
230	1.8 სხვა ხარჯები	28		
240	2. არაფინანსური აქტივების ზრდა	31		

250	2.1 ძირითადი აქტივები	311		
260	2.2 მატერიალური მარაგები	312		
270	2.3 ფასეულობები	313		
280	2.4 არაწარმოებული აქტივები	314		
290	3. ფინანსური აქტივების ზრდა	32		
300	3.1 საშინაო	321		
310	3.2 საგარეო	322		
320	4. ვალდებულებების კლება	33		
330	4.1 საშინაო	331		
340	4.2 საგარეო	332		
350	ბიუჯეტში გადახდილი თანხები			
360	კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი			
370	ნაშთი წლის (კვარტალის) ბოლოს			

ორგანიზაციის ხელმძღვანელი: _____

მთავარი ბუღალტერი: _____

ბ.ა

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

ორგანიზაციის დასახელება: თილის მუნიციპალიტეტი

კოდი: 240892986

პერიოდულობა: წლიური

2014 წლის დეკემბერი

ზომის ერთეული: ლარი

	არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	მიღება										გასვლა										ნაშთი წლის ბოლოსათვის				
			შესყიდვით	ზარტებით	იმედი დონის სახელმწიფო პრივილიგიან უმასყიდოდ	გრძელებით	სხვა შემოსევებით	სხვა კონტრაქტული შედეგებით	საკუთრება სახსრებით კაპიტალის შემოსვით	დამკლავის ადგილი	სხვა მიღებები	გადაღებით	ზარტებით	იმედი დონის სახელმწიფო პრივილიგიან უმასყიდოდ	აქტივების და სხვა კაპიტალის სახით	ხელფასები სასაქონლო ფორმით	სესხი	გრძელებით	სოციალური დახმარებით	დამკლავით	სხვა ხარჯებით	სხვა კონტრაქტული შედეგებით		საკუთრება სახსრებით კაპიტალის შემოსვით	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	საქმის და მომსახურებით	*სხვა გასვლები
010	1. მატერიალური მარაგები																										
020	1.1. სტრატეგიული მარაგები																										
030	1.2. სხვა მატერიალური მარაგები																										
040	1.2.1. წვდომის და მასალები																										
050	1.2.2. დამსახურებული წარმოება																										
060	1.2.3. მზა პროდუქცია																										
070	1.2.4. შეზღუდული რეალიზაციისათვის მზებული საქონელი																										
080	1.2.5. დღიური დოკუმენტები																										
090	1.2.6. სათანადო ნაწილები																										
100	1.2.7. სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგები																										
110	2. ძირითადი აქტივები	38339.37	3808	2001																				10725.42		33422.95	
120	2.1. მშენა- ნაგებობები																										
130	2.1.1. სახელმწიფო მშენობები																										
140	2.1.2. არასახელმწიფო მშენობები																										
150	2.1.3. საგზაო ინფრასტრუქტურა																										
160	2.1.4. ტერიტორია																										

[illegible]

As



ორგანიზაციის ანგარიში ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და
ვალდებულებების ცვლილებების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება ----- კოდი -----		პერიოდულობა: წლიური, კვარტალური ----- 200 წლის ----- თვის ზომის ერთეული: ლარი			
	ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დასახელება	მოგება ფლობიდან კრედიტი (8100)	ზარალი ფლობიდან დებეტი (8100)	აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებებით ზრდა კრედიტი (8200)	აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებებით კლება დებეტი (8200)
010	ფინანსური აქტივები				
020	ვალუტა დეპოზიტები				
030	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა				
040	სესხები				
050	აქციები და სხვა კაპიტალი				
060	სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები				
070	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები				
080	სხვა დებიტორული დავალიანებები				
090	მონეტარული ოქრო და მასქსიონის სპეციალური უფლება				

9

100	ფინანსური ვალდებულებები				
110	ვალუტა და დეპოზიტები				
120	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა				
130	სესხები				
140	აქციები და სხვა კაპიტალი				
150	სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები				
160	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები				
170	სხვა კრედიტორული დავალიანებები				

შენიშვნა - სხვა ეკონომიკური ნაკადების ანგარიშების (8100 - 8200) მოკორესპოდენტო ანგარიშებია 010-170 სტრიქონებში მითითებული მუხლების შესაბამისი ანგარიშები და ფორმა ივსება ისე, როგორც ბრუნვათა უწყისი

ორგანიზაციის დასახელება: _____

მთავარი ბუღალტერი: _____

ბ.ა.

ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე

ორგანიზაციის დასახელება ----- კოდი -----

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური -----200 წლის -----თვის ზომის ერთეული: ლარი

ანალიზური აღრიცხვის მონაცემები													
დასახელება	საანგარიშო პერიოდის დასაწყისში (რაოდენობა)		საანგარიშო პერიოდში მიღება		საანგარიშო პერიოდში გახვლა		საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტობრივი)		
			შეყენა	სხვა სახით მიღება	უპატრონო იდეატი გასული	სხვა სახით გასული							
	მ.შ. მდგომარეობა	არამდგომარეობა	რაოდენობა	რაოდენობა	რაოდენობა	რაოდენობა	სულ ხარჯი	მ.შ. შედეგები	მ.შ. საწვავი	მ.შ. სათადარიგო	სულ ხარჯი	მ.შ. შედეგები	მ.შ. საწვავი
1 სატრანსპორტო საშუალება სულ:	3	1									44070.09	12628	31442.09
1.1 მ.შ. მსუბუქი													
1.2 ვეიპები და მოკაპები	3	1									44070.09	12628	31442.09
1.3 სატელეფონო													



აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

წამყვანი აუდიტორი:

ზურაბ ქათამაძე



ხელმოწერა

თარიღი 17.04.2015

აუდიტორი:

ლია გუჯაბიძე



ხელმოწერა

თარიღი 17.04.2015

აუდიტორი:

ქრისტინე ეკალაძე



ხელმოწერა

თარიღი 17.04.2015

აუდიტორ-ასისტენტი:

შალვა ბუცხრიკიძე



ხელმოწერა

თარიღი 17.04.2015